საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5.
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 31 იანვარი 2024 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 2

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით), აუქციონის ფორმით, გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122 ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს გასცეს სარგებლობაში, აუქციონის ფორმით, იჯარით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. წალენჯიხა სალიას ქუჩაზე მდებარე 43 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკ.კოდი N47.11.44.656), 2 (ორი) წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 600 ლარით.

2.განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ლაღიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია